



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№32

30 ივლისი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი №44.01.36.184) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.14წ. №669 დადგენილების, „სენაკის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.05.16წ. №15 დადგენილების, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის №003706918 (01.06.18წ.) დასკვნის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 5 ივლისის №01/2861 მომართვის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე, ყოფილი მშენებარე კრივის დარბაზის მიმდებარედ 62 კვ.მ. მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №44.01.36.184), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (გაშენების ფართი №1-29,48კვ.მ. და №2-7,12კვ.მ.), 10 წლის ვადით.

2. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №44.01.36.184) სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 2030 (ორიათასოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ზადრი კალანდარიშვილი

